შეფასების საანგარიშო მოხსენება

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (ბთჯ) მილსადენის პროექტთან დაკავშირებული შვიდი საჩივრის შესახებ

მიღებულია 2004 წლის 21 მაისს

2004 წლის სექტემბერი

შეთანხმების მრჩევლის/ ომბუცმენის ოფისი
საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
მრავალმხრივი დაბანდების სააგენტო

შინაარსი:

შესავალი 3

სურათი 1. საჩივარში აღძრული საკითხები 5

ბაშკოვი 6

დგვარი 7

საღრაშენი 10

თეთრიწყარო (ბატონი გელაშვილი) 13

თეთრიწყარო 16

ციხისჯვარი 19

დასკვნები და შემაჯამებელი რეკომენდაცია 22

შვიდი საჩივრის მოკლე შინაარსი 24

შესავალი

2004 წლის 21 მაისს შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისმა მიიღო შვიდი საჩივარი, რომელიც ეხება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობის მილსადენის პროექტს საქართველოში და ეს საჩივრები დაზიანებული მოსახლეობის სახელით აღძრული იქნა არასამთავრობო ორგანიზაციის მწვანე ალტერნატივის მიერ. საჩივრები არის აღძრული სოფელ დგვარისა და ციხისჯვარის მოსახლეობის მიერ ბორჯომის რაიონში, სოფელ ბაშკოვის მაცხოვრებლის მიერ მიერ წალკის რაიონში და თეთრიწყაროს რაიონის ქალაქ თეთრიწყაროს მოსახლეობის მიერ (ორი საჩივარი). ამასთან დამატებით, საჩივარი აღძრული იქნა ქალაქ რუსთავის მიწის მფლობელთა ჯგუფის მიერ.

შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ვალდებულებათა თანახმად თითოეული საჩივარი თითოეულ დაზარალებულ მხარესთან იქნა გამოძიებული. ექვსი საჩივარი მიღებული იქნა რადგან შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისმა დაადგინა, რომ ეს ექვსი საჩივარი აკმაყოფილებს საჩივრის მიღების კრიტერიუმს და უფრო საფუძვლიანად უნდა იქნას შესწავლილი. რუსთავის მიწის მფლობელთა საჩივარი არ იქნა მიღებული რადგანაც საჩივარში აღძრული საკითხი სასამართლოში იხილება და შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისს არ შეუძლია მიიღოს სასამართლოში აღძრული საჩივარი/საჩივრები.

ექვსი საჩივარი შეფასებული იქნა შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის თანამშრომლების და კონსულტანტების მიერ პროექტისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების განხილვის და 2004 წლის ივლისში შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის თანამშრომელთა მიერ საქართველოში მათი ვიზიტის საფუძველზე. თითოეული საჩივრის მოკლე შინაარსი მოცემულია ამ მოხსენებაში შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის შეფასებასა და რეკომენდაციებთან ერთად.

საჩივრის შეფასებას მივყევართ იმ დაკვირვებებისა და რეკომენდაციებისაკენ, რომელიც წარმოდგენილია ამ მოხსენების ბოლო ნაწილში.

ზოგადი ინფორმაცია

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მთვარი საექსპორტო მილსადენის პროექტი მოიცავს განვითარებას, დაფინანსებას, მშენებლობას და ოპერაციას სისტემისა რათა გადაზიდოს გადაუმუშავებელი ნავთობი არსებული ნავთობის სადგურ სანგაჩალიდან ბაქოს (აზერბაიჯანი) მახლობლად საქართველოს გავლით ახალ სადგურამდე რომელიც აშენებული იქნება ჯეიჰანში, თურქეთში, ხმელთაშუა ზღვაზე. 1,760 კილომეტრიანი მილსადენი მთელ სიგრძეზე მთლიანად მიწისქვეშ ჩაფლული იქნება და გაივლის აზერბაიჯანს (442 კილომეტრი), საქართველოს (248 კილომეტრი) და თურქეთს (1,070 კილომეტრი). მილსადენი გადაზიდავს გადაუმუშავებელ ნავთობს კასპიის ზღვის აზერი, ჩირაგი და გუნაშლი ნავთობის სადგურიდან (ცნობილი როგორც ACG სადგური). მილსადენის დაგეგმილი მოცულობა დააკმაყოფილებს არსებული ნავთობის მარაგის გადაზიდვას და აგრეთვე დამატებით წარმოებას ACG (აზერი, ჩირაგი და გუნაშლი) რომლის მთლიანი მოცულობა იქნება 1 მილიონი ბარელი დღეში. გეგმის მიხედვით მილსადენი მუშაობას დაიწყებს 2005 წლის მეორე ნახევარში.

პროექტის სპონსორია ბთჯ (BTC) კომპანია, რომელიც შედგება 11 პარტნიორისგან და დაარსებული იყო 2002 წლის აგვისტოში. ბრითიშ პეტროლეუმი (BP), რომელიც არის პროექტის ყველაზე დიდი მეპაიე (30.1%), აწარმოებს მილსადენის მოქმედებას. სხვა პარტნიორები (მონაწილეობის სიდიდის მიხედვით დიდიდან პატარამდე) არიან SOCAR (აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობის კომპანია) (25%)), UNOCAL (უნოქალი) (8.9%)), STATOIL (სტატოილი) (8.7%)), TPAO (თურქეთის ნავთობის კომპანია) (6.5%)), Eni (ენი) (5%)), TotalFinaElf (ტოტალფინალელფი) (5%)), ITOCHU (იტოჩუ) (3.4%)), INPEX (ინპექსი) (2.5%)), ConocoPhillips (ქონოქოფილიპსი) (2.5%)) და Amerada Hess (ამერადა ჰესი) (2.5%)). როგორც მილსადენის ოპერატორი,[1] ბრითიშ პეტროლეუმი (BP) პროექტისა და მშენებლობის ფაზების მეთაურია. პროექტის მთლიანი ღირებულება არის 3.6 მილიარდი ამერიკული დოლარი. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) წილი ამ პროექტში არის 250 მილიონი ამერიკული დოლარი, 125 მილიონი რომლისაც არის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საკუთარ ანგარიშზე (ეგრეთ წოდებული ა სესხი (A loan) დამატებით 125 მილიონი ამერიკული დოლარი კი სინდიკატური სესხით (ეგრეთ წოდებული ბ სესხის პროგრამა (B loan program).

მილსადენის ნაწილი, რომელიც საქართველოში გაივლის, დაიწყება საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე მდებარე გარდაბნის რაიონში და გადაკვეთავს ქვეყნის შვიდ რაიონს და ქალაქ რუსთავს (ნახეთ სურათი 1) და დასრულდება ახალციხის რაიონ სოფელ ნაოხრებში თურქეთის საზღვართან. პრეზიდენტის მიერ 2000 წლის ოქტომბერს გაცემული განკარგულების თანახმად საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კომპანია საქართველოს წარმომადგენელი იქნება. საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაცია ითამაშებს მთვრობის წარმომადგენლის როლს, რომლის საშუალებითაც ბთჯ კომპანიას საშუალება ექნება მოითხოვოს და მიიღოს გარკვეული უფლებები, ლიცენზიები, სერთიფიკატები, ნებართვები და დამტკიცებები პროექტის მოქმედებისათვის. სპიე ქაფაგ და პეტროფაგის ერთობლივი კომპანიას კი (SPJV) მიეცა უფლება საქართველოს ტერიტორიაზე აწარმოოს საამშენებლო სამუშაოები.

ქვემოთ მოყვანილი რუქა გვიჩვენებს თითოეულ მიღებულ საჩივარს და მათ ძირითად ხასიათს.

[1] მთლიან მოხსენებაში ბთჯ კომპანია არის მოხსენებული რეკომენდაციების ნაწილის ჩათვლით. მიუხედავად ამისა, მთლიანი პასუხისმგებლობა მიღებული რეკომენდაციების განხორციელებისა აწევს ბრითიშ პეტორელეუმს, როგორც მილსადენის ოპერატორს.

სურათი 1. 2004 წლის 21 მაისს შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისისადმი წამოჭრილი საჩივრები ბთჯ-ს პროექტთან დაკავშირებით.



წყარო: ბრითიშ პეტროლეუმის ბროშურა *ცხოვრება მილსადენის გვერდით*

Georgia - საქართველო
Russia - რუსეთი
Turkey - თურქეთი
Tbilisi - თბილისი
Adigeni - ადიგენი
Vali - ვალი
Akhaltsikhe - ახალციხე
Botjomi - ბორჯომი
Bakuriani - ბაკურიანი
Tsalka - წალკა
Tetritskaro - თეთრიწყარო
Pump station one - სატუმბი სადგური ნომერი ერთი
Pump station two - სატუმბი სადგური ნომერი ორი
Rustavi - რუსთავი
Gardabani - გარდაბანი
Marneuli - მარნეული

1. ბაშკოვი

ეს საჩივარი აღძრულია სოფელ ბაშკოვში მცხოვრები ერთი მეფუტკრის მიერ. განმცხადებელი არის საქართველოს შიგნით ადგილგადანაცვლებული პირი, ბთჯ-ს გადასახლების მოქმედების გეგმის მიხედვით იმ ადამიანთა ჯგუფის წევრი, რომლებიც ადვილად ექვემდებარებიან სულიერ დაშავებას ან სულიერ ტრამვას. მან მეფუტკრეობა დაიწყო მრავალი დონორის მიერ მხარდაჭერილი განვითარების პროექტის დახმარებით. იგი ამტკიცებს, რომ ა) მილსადენის მშენებლობასთან დაკავშირებულმა სამუშაოებმა გამოიწვია თაფლის წარმოების შემცირება 90%-ით და ბ) რომ ბთჯ-ს კომპანიამ ყურადღება არ მიაქცია მის პრობლემებს. განმცხადებელის საარსებო წყარო თითქმის ძირითადად დამოკიდებულია მეფუტკრეობაზე. შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისმა ეს საჩივარი 2004 წლის 23-30 ივლისს ადგილზე ვიზიტის დროს გამოიძია.

საჩივარში წამოჭრილი საკითხი	**ბთჯ-ს პერსპექტივა**	**ომბუცმენის დასკვნები და რეკომენდაციები**
• საფუტკრის დაზიანება იქნა გა- მოწვეული აფეთქებებითა და საამშენებლო დერეფნის მინდ- ვრის ყვავილებიანი ფენის მოხსნით. • საფუტკრე 200-300 მეტრითაა დაშორებული ბთჯ-ს საამშენებლო დერეფნისაგან. • ზიანია: (1) თაფლის წარმოების 90%-ით შემცირება, (2) ფუტკრის 19 ოჯახის განადგურება და (3) დარჩენილი ფუტკრის ოჯახების დასუსტება. • განმცხადებელი არის საფუტკრის მეპატრონე და არის საქართველოს შიგნით ადგილგადანაცვლებული პირი (IDP). • საფუტკრის შექმნა დაიწყო გაეროს სააგენტოებისა და მსოფლიო ბანკის განვითარების პროგრამის დახმარებით.	• განმცხადებელის სკები საამშენებლო დერეფნიდან 569 მეტრითაა დაშორებული. • საამშენებლო დერეფნიდან არსებული მანძილით დაშორებულ სკებს საფრთხე არ ემუქრებათ. • ბთჯ-ს კომპანიისაგან კომპენსაციის მისაღებად სკები უნდა იყოს საამშენებლო დერეფნიდან მაქსიმუმი 300 მეტრის დაშორებით. • ადგილობრივი ექსპერტი არ იყო მოწვეული იმიტომ რომ განმცხადებლის სკები საამშენებლო დერეფნიდან 300 მეტრზე მეტითაა დაშორებული. • ბთჯ-ს კომპანიას არ უნდა მსგავსი საჩივრებისათვის მაგალითის შექმნა.	• შეთანხმების მრჩეველი/ომბუცმენი ეთანხმება იმას, რომ განმცხადებელის სკები 300 მეტრზე მეტი მანძილითაა დაშორებული საამშენებლო დერეფნიდან. • განმცხადებელი, როგორც მეფუტკრეობის ბიზნესის პარტნიორი არის საქართველოს შიგნით ადგილგადანაცვლებუ- ლი პირი. მისი სტატუსი როგორც პიროვნებისა მიწის გარეშე მას ხდის გარკვეული ჯგუფის წევრს და გადასახლების მოქმედების გეგმის ქვეშ იგი ექვემდებარება გადასახლების მოქმედების გეგმის გარკვეულ ვალდებულებებს. • განმცხადებელისს სტატუსი არ არის საკმარისად სპეციფიური, რათა გამოყენებული იქნას როგორც მაგალითი შემდგომი საერთო გამოძიებისათვის.

• საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრებმა მეფუტკრეებს მშენებლობის შესახებ თაფლის შეგროვების სეზონის დაწყებამდე არ შეატყობინეს. • განმცხადებელმა ორჯერ მიმართა ბთჯ-ს კომპენსაციისათვის მაგრამ პასუხი არ მიუღია.	• ბთჯ-ს კომპანია მზადაა გააგზავნოს მათი ექსპერტი მეფუტკრე განმცხადებელთან რათა მას შესთავაზოს რჩევა იმის შესახებ თუ განმცხადებლის ფუტკრები რატომ არ აწარმოებენ საკმარისს თაფლს და აუხსნას ის ფაქტი რატომ არ ექნება მშენებლობას გავლენა თაფლის მოსავალზე.	• ბთჯ-ს კომპანიის სურვილი, რომ ექსპერტი მეფუტკრე ფუტკრებზე და თაფლის მოსავალზე მშენებლობის გავლენის განსახილველად გააგზავნოს განმცხადებელთან მისასალმებელია. ეს შეფასება უნდა ჩატარდეს განმცხადებლისა და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ერთად. • შედეგებზე დაყრდნობით, ბთჯ-მ უნდა განახორციელოს შესაფერისი შემასწორებელი მოქმედებები (თუკი ეს საჭიროებას წარმოადგენს).

2. დგვარი

ეს საჩივარი აღძრული იქნა ერთი პირის მიერ მთელი სოფლის სახელით და ამ პიროვნებამ მოითხოვა რომ მისი სახელის კონფიდენციალურობა. საქართველოს მთავრობის თანახმად სოფელი დგვარი მოთავსებულია მეწყერებით მდიდარ და არასტაბილურ ნიადაგზე. 2004 წლის 7 ივნისს მთავრობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დგვარის მოსახლეობა უნდა გადასახლდეს. განმცხადებლები წუხან, რომ მილსადენი გაზრდის მეწყერის მიერ მათი საცხოვრებელი სახლების დაზიანების რისკს. აგრეთვე აღნიშნული იქნა ია ფაქტი, რომ ბთჯ კომპანიას სოფლის წარმომადგენლებთან კონსულტაციები არ ჰქონია. შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისმა დაიქირავა დამოუკიდებელი სპეციალისტი და საკუთარი თანამშრომლებით გადაწყვიტა საჩივარში წამოჭრილ საკითხთა გამოძიება 2004 წლის 26-30 ივლისს ადგილზე ვიზიტის დროს.

საჩივარში წამოჭრილი საკითხები	ბთჯ-ს პერსპექტივა	ომბუცმენის დასკვნები და რეკომენდაციები
• ბთჯ-ს მიერ სოფელ დგვარის წარმომადგენლებთან საჯარო კონსულტაციის უქონლობა ბთჯ-ს პროექტის დოკუმენტების -გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასებისა (ESIA) და გადასახლების მოქმედების გეგმის (RAP) მომზადების დროს.	• დგვარი არ არის მოხსენებული საწყის სოციალურ გამოკვლევებში რომელიც ჩატარდა გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასებისათვის. • ბთჯ-მ წარმოადგინა საბუთი იმისა, რომ დგვარი ჩართული იყო გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასებისათვის მომზადებულ ნახაზებსა და დამგეგმავ დოკუმენტებში.	• გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასებიასათვის მზადების პერიოდში დგვარის მაცხოვრებლებთან პირდაპირი კავშირი არავის ჰქონია და მათ არავინ დაკავშირებია ბთჯ-ს კომპანიიდან. • დგვარის სპეციფიური სიტუაციისა და მეწყერის რთული და მგრძნობიარე საკითხის გათვალისწინებით, ადრეული კონსულტაციები საშუალებას მისცემდა დგვარის მოსახლეობას თავიანთი საზრუნავი გამოეთქვათ და ბთჯ-ს კომპანიას კი თავის მხრივ საშუალება ექნებოდა მოსახლეობის მოლოდინისათვის თავი გაერთვა.

• მილსადენის მშენებლობამ დგვარიდან 1 კმ-ის დაშორებით შეიძლება აამოქმედოს მეწყერი და სოფელს და მის მაცხოვრებლებს საშიშროება შეუქმნას.	• სოფელ დგვარში მეწყერის იმ გამოკვლევამ, რომელსაც უფლება მიანიჭა საქართველოს მთავრობამ და გამოქვეყნდა 2004 წლის 13 თებერვალს, დაადგინა რომ დგვარის მეწყერზე მილსადენის მარშრუტს გავლენა არ ექნება. • 2003 წლის აგვისტო-სექტემბერში ქართველი მეცნიერების მიერ ჩატარებული გამოკვლევა ასკვნის, რომ შეუძლებელია მეწყერთა ზონის სტაბილიზაცია და რომ დგვარის მოსახლეობა უნდა გადასახლდეს უსაფრთხო ადგილას; ერთ-ერთი ავტორი იმასაც კი ამბობს, რომ მეწყერის მდგომარეობა უარესდება და საშიშროება თვით მილსადენსაც კი ემუქრება.	• შეთანხმების მრჩეველი/ომბუცმენი ასკვნის, რომ მილსადენის მარშრუტი წარმოადგენს უმცირეს რისკს მიწის მოძრაობის შემთხვევაში • შეთანხმების მრჩეველს/ომბუცმენს მიაჩნია, რომ მილსადენის მშენებლობას მეწყერზე გავლენა არ ექნება მილსადენსა და დგვარს შორის არსებული მანძილისა და მათ შორის არსებული ტოპოგრაფიის გაერთიანებული ეფექტის გამო. • შეთანხმების მრჩევლის/ ომბუცმენის რჩევაა, რომ რეგიონის პროექტის საჰაერო სურათები გამოყენებული იქნას მეწყერის ადგილმდებარეობის საილუსტრაციოდ და ნაჩვენები იქნას მათი ადგილმდებარეობა მილსადენთად დაკავშირებით და ამით შეამსუბუქოს მოსახლეობის შიში მილსადეთან დაკავშირებული რისკის გამო. • იმი გათვალისწინებით, რომ განმცხადებლებს ბთჯ-ს მიერ წარმოებული დგვარში მეწყერის გამოკვლევის რწმენა არ აქვთ და ეყრდნობიან მხოლოდ ქართველ მეცნიერთა მოხსენებას, ბთჯ-ს კომპანიამ დგვარში უნდა ჩაატაროს საჯარო შეხვედრა და ორივე გამოკვლევის ავტორებთან. მწვანე ალტერნატივამ უნდა ითამაშოს ძირითადი როლი ამ საჯარო შეხვედრების მოწყობაში.

• გადასახლების შესახებ ნათელი სურათის უკმარისობა; მაცხოვრებელთა გადასახლების შესახებ მთავრობის მიერ გაცემული განკარგულების ან გეგმის დოკუმენტაციის უქონლობა; დგვარის მაცხოვრებელთა გადასახლების ბიუჯეტის უკმარისობა.	• ბთჯ-სა და ბპ-ს მთლიანად უარი არ უთქვიათ დგვარის მაცხოვრებელთა გადასახლებასთან დაკავშირებით ფინასიურ დახმარებაზე, მათ უნდათ რომ ამ საქმეში წინამძღოლობა საქართველოს მთავრობამ იკისროს. • ბთჯ/ბრითიშ პეტროლეუმის დახმარება დგვარის მაცხოვრებელთა გადასახლების საკითხში ფრთხილად და გულდასმით უნდა იქნას გათვალისწინებული მთავრობის გეგმასთან ერთად. • ბთჯ/სპიე კაფაგ პეტროფაგმა განიხილეს ეს საკითხი რეკონსტრუქციის და განვითერების ევროპულ ბანკთან და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან და სთხოვა მათ დახმარება რათა დგვარის მოსახლეობის გადასახლების შესახებ საქართველოს მთავრობას პოზიცია ჩამოეყალიბებინა.	• შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისს სჯერა, რომ ბთჯ-ს პასუხი ამ საკითხზე არის სათანადო და მხარს უჭერს გაგრძელდეს ამ საკითხის ღია და ნათელი მონიტორინგი და აგრეთვე დგვარის მოსახლეობა მთლიანად და აქტიურად იქნას ჩაბმული ამ საკითხის მოგვარებაში.

3. საღრაშენი

ეს საჩივარი აღძრული იქნა სოფელ საღრაშენში მცხოვრები რვა ოჯახის მიერ. განმცხადებლებმა წამოჭრეს რიგი საკითხებისა, რომელიც ეხება მშენებლობის სატვირთო მანქანების მოძრაობას. განსაკუთრებით კი მათი ყურადღება მახვილდება მშენებლობის სატვირთო მანქანების მიერ გამოწვეული ვიბრაციის გამო მაცხოვრებელთა სახლების დაზიანებაზე. საქართველოს მთავრობამ დაადასტურა, რომ ამ სოფელში სახლები სეისმურად გამძლე არაა და არ იყო აშენებული მიღებული ეროვნული სტანდარტების მიხედვით. ამასთან ერთად მაცხოვრებლებმა აღძრეს საკითხი მანქანების მოძრაობის შედეგად წარმოქმნილი მტვრის, სატვირთო მანქანების სიჩქარის, მათი მარშრუტისა და ბთჯ-ს მიერ მათი პრობლემებისადმი უყურადღებობის შესახებ. შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისმა ეს საჩივარი გამოიძია 2004 წლის 22-26 ივლისს საღრაშენში ვიზიტის დროს.

საჩივარში წამოჭრილი საკითხები	ბთჯ-ს პერსპექტივა	ომბუცმენის დასკვნები და რეკომენდაციები
• სატვირთო მანქანების მოძრაობა ვიბრაციას იწვევს და გზისპირა სახლების კედლებს ბზარები გაუჩნდათ. • ბზართა რაოდენობა და სიღრმე იზრდება. • საღრაშენის დაზიანებულ მაცხოვრებლები რისკავენ საკუთარი სახლების უსაფრთხოებას, თუკი მანქანების მიმოსვლის მარშრუტი არ შეიცვლება და მძიმე სატვირთო მანქანების მოძრაობა არ შეჩერდება. • განმცხადებლებმა მიიღეს წერილი საქართველოს	• მშენებლობის დაწყებამდე სოფელ საღრაშენში მდებარე გზისპირა სახლები არ იყო შესწავლილი იმიტომ, რომ სპიე ქაფაგ პეტროფაგის აზრით მშენებლობის სატვირთო მანქანების მოძრაობა სტრუქტურულ ზიანს არ მიაყენებდა ახლომდებარე სახლებს. • ორივე, განმცხადებლები და ბთჯ/სპიე ქაფაგ პეტროფაგი აღიარებენ იმას, რომ მანქანების მოძრაობით გამოწვეული ვიბრაციის დონეების დამდგენი ანალიზი ჩატარდა. განმცხადებლები ამბობენ, რომ ეს მეცნიერული ანალიზი არ იყო და გამოყენებული მანქანები არ იყო 32 ტონიანი მთლიანად დატვირთული	• შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის რეკომენდაციაა რომ ბთჯ-ს კომპანიამ და განმცხადებლებმა ეს საკითხი გადაწყვიტონ დამოუკიდებელი გასაჩივრების პროცესის გამოყენებით. • ბთჯ/სპიე ქაფაგ პეტროფაგმა საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს ექსპერტებთან ერთად განიხილოს სოფელ საღრაშენში შენობების სტრუქტურული ერთიანობა და დაადგინოს შეიძლება თუ არა სამინისტროს შეფასება მომავალში გამოყენებული იქნას ბთჯ-ს მანქანების მოძრაობით გამოწვეულ სახლების დაზიანების გამო წამოჭრილ მსგავს

ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროსაგან რომელიც ადასტურებს იმას, რომ სახლები სეისმურად გამძლე არაა და აღიარებულ ეროვნულ სტანდარტებზე დაბალი დონისაა. განმცხადებლები ამტკიცებენ, რომ უხარისხო მშენებლობის გამო მათი სახლები ადვილად დაზიანდება დიდი სატვირთო მანქანების მუდმივი მოძრაობის გამო.	სატვირთო მანქანები, რომლებიც რეგულარულად მოძრაობენ ამ მარშრუტზე. ბთჯ/სპიე კაფაგ პეტროფაგი კი თავის მხრივ ამბობს, რომ ანალიზისათვის გამოყენებული სატვირთო მანქანები ანალოგიური იყო სინამდვილეში არსებული სატვირთო მანქანებისა და აგრეთვე საცდელი მანქანები იყო მთლიანად დატვირთული და ანალიზმა აჩვენა, რომ ვიბრაციის დონე იყო იმ საერთაშორისოდ აღიარებულ ვიბრაციის დონეზე მნიშვნელოვნად დაბალი, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს შენობების სტრუქტურული დაზიანება.	შემთხვევებში. • სპიე კაფაგ პეტროფაგმა ჩაატაროს ვიბრაციის დონის გამზომი ახალი გამოცდა რომელიც ჩატარდება შეთანხმებისა და თანამონაწილეობის მეთოდის გამოყენებით და შეიცავს განმცხადებელთა და არასამთავრობო ორგანიზაციების (როგორიცაა მწვანე ალტერნატივა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაიცა და ა.შ.) დამოუკიდებელ მონიტორინგს. • სპიე კაფაგ პეტროფაგმა განმცხადებლებს უნდა აუხსნას ვიბრაციის დონის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები.
• ბთჯ-ს, სპიე კაფაგ პეტროფაგისა და საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კომპანიების მიერ განმცხადებელთა უყურადღებოდ დატოვება. განმცხადებლები ცდილობდნენ ბთჯ-ს კომპანიისაგან პასუხი მიეღოთ 2003 წლის ნოემბრიდან. • განმცხადებლები ამბობენ, რომ მათ მწვანე ალტერატივასთან ერთად 2004 წლია მარტის შუა რიცხვებში რამდენიმე წერილი გაუგზავნეს ბთჯ, საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კომპანიასა და საერთაშორისო	• ბთჯ-მ და საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრებმა უარის თქმით განაწყენებულ მოსახლეობას ურჩია, რომ მათ შეუძლიათ დახმარებისათვის სასამართლოს მიმართონ.	• ბთჯ-ს კომპანიამ განმცხადებელთა ადრეულ წერილებს რამოდენიმე თვის დაგვიანებით უპასუხა. • შინაგანი ეფექტური გასაჩივრების პროცესის უქონლობამ არსებულ საჩივართა განხილვის მექანიზმთან ერთად (ისეთი უკანასკნელი ზომის ჩაუთვლელად, როგორიცაა სასამართლოში საქმის აღძვრა), გამოუვალ მდგომარეობამდე მიგვიყვანა. • საკმაოდ საფუძვლიანი იქნება ეფექტიური გასაჩივრების პროცესის შექმნა იმ სახის საჩივრებისათვის, რომელსაც თეორიულად სასამართლოში აღძვრის პოტენცია აქვს, მაგრამ გასაჩივრების პროცესის გამოყენებით უფრო ეფექტურად შეიძლება იქნას

საფინანსო კორპორაციის წარმომადგენელს. • 2004 წლის აპრილში პასუხად შეურაცხმყოფელი წერილი მიიღეს ბთჯ-ს კომპანიისაგან. როდესაც კი საჩივარი შევიდა შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისში, ბთჯ-ს წარმომადგენელი ეწვია განმცხადებელს. 2004 წლის 28 ივლისით დათარიღებულ წერილს უარი ეთქვა.		გადაწყვეტილი. ასეთი სისტემა გაზრდის სამართლიან გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას იმ განმცხადებლებისათვის, რომელთაც სასამართლო სისტემის იმედი არ აქვთ.
• გზის ქვიშით დაფარვას, რომელიც იყო ბთჯ-ს კომპანიის მცდელობა რათა შეემსუბუქებინა მდგომარეობა, ადგილი ჰქონდა განმცხადებლებთან კონსულტაციის ჩაუტარებლად. • ქვიშამ დამატებითი მტვერი გამოიწვია და გააძლიერა ვიბრაცია. • განმცხადებლებს არ ესმით თუ რატომ არის მშენებლობის მანქანებისათვის დაშვებული სიჩქარე 80 კმ/საათში, როდესაც საქართველოში კანონით დაშვებული სიჩქარის ლიმიტი არის 60 კმ/საათში.	• ბთჯ-სა და სპიე კაფაგ პეტროფაგის კომპანიებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული გზის სამი ნაწილი შეკეთდა 2004 წლის ივნის/ივლისის თვეებში და მშენებლობის მანქანების მიერ გამოყენებული გზები რეგულარულად ირწყვება მშრალი ამინდის დროს. • სპიე კაფაგ პეტროფაგის ტრანსპორტაციის მართვა-გამგეობის გეგმის თანახმად საამშენებლო მანქანების სიჩქარის ლიმიტი გზატკეცილზე არის 80 კმ/საათში და 50 კმ/საათში ქალაქებში.	• შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისს მიაჩნია, რომ სპიე კაფაგ პეტროფაგის პასუხი დამაკმაყოფილებელია და სთხოვს მათ გააგრძელონ თვალ-ყურის დევნება იმაში დასარწმუნებლად, რომ ტრანსპორტაციის მართვისა და გამგეობის გეგმა ყოველთვის ძალაშია.
• საღრაშენში ბთჯ-ს საამშენებლო მანქანების მიერ გამოყენებული გზა არის	• ბთჯ-სა და სპიე კაფაგ პეტროფაგის კომპანიებმა აღნიშნეს, რომ მძიმე სატვირთო მანქანები იყენებენ სხვა	• შეთანხმების მრჩეველს/ომბუცმენს მიაჩნია, რომ სპიე კაფაგ პეტროფაგის პასუხი დამაკმაყოფილებელია და არ

მოდიფიკაცია ადრე ოფიციალურად შეთანხმებული მარშრუტისა.	გზას საღრაშენში გამავალი გზისაგან განსხვავებით, მაგრამ პროექტის მანქანები იყენებენ კოდა-თეთრიწყაროს გზას უკეთესეი მარშრუტის გზის მდგომარეობის უხარისხობის გამო.	ხედავს შემდგომი მოქმედების საჭიროებას.

4. თეთრიწყარო (ბატონი გელაშვილი)

ეს საჩივარი თეთრიწყაროში იქნა აღძრული იქნა ერთი პიროვნების მიერ. ამ საჩივარში წამოჭრილი იქნა მთელი რიგი საკითხები საამშენებლო მძიმე სატვირთო მანქანების მიერ კერძო და საერთო საკუთრების დაზიანებისა და გარემოს მტვრით დაბინძურების შესახებ. შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისმა ეს საკითხები გამოიძია 2004 წლის ივლისში თეთრიწყაროში ყოფნის დროს.

საჩივარში წამოჭრილი საკითხები	ბთჯ-ს პერსპექტივა	ომბუცმენის დასკვნები და რეკომენდაციები
• საამშენებლო მძიმე სატვირთო მანქანების მიერ გარემოს მტვრით დაბინძურება და მანქანების გამუდმებული მოძრაობა • ბრითიშ პეტროლეუმის სატვირთო მანქანების მიერ განმცხადებლის ტელეფონის ხაზის დაზიანება.	• ბთჯ/სპიე კაფაგ პეტროფაგი ამბობენ, რომ მშრალ ამინდში განმცხადებლის სახლის მახლობლად გზები რეგულარულად ირწყვება დამტვერიანების მინიმუმამდე დასაყვანად; აგრეთვე გზის ზედაპირის ასფალტით ან მსგავი დასაფარით დაფარვაა შესაძლებელი და ანალიზი ვარაუდით უნდა დამთავრდეს 2004 წლის აგვისტოში. • ბთჯ/სპიე კაფაგ პეტროფაგის კომპანიის მიხედვით მშენებლობის სატვირთო მანქანების მიერ ტელეფონის ხაზები იქნა დაზიანებული, მაგრამ შეკეთებული იყო 2-3 დღის განმავლობაში.	• დამამტკიცებლი საბუთის ან მოწმის უქონლობა აძნელებს წამოჭრილ საკითხებზე სათანადო და საჭირო რეაგირებას.
• საწვავის სატვირთო მანქანის მიერ ბაღის კედლის დაზიანება. • ბთჯ-მ უარი თქვა კომპენსაციაზე და აღნიშნა, რომ განმცხადებელიმანქანის მძღოლს უნდა დალაპარეკებოდა და მისგან მოეთხოვა პასუხი. • განმცხადებელმა დაადასტურა შეთანხმების	• განმცხადებელს შემთხვევის შესახებ შემთხვევის დროს არავისთვის არ შეუტყობინებია და მას არ შეეძლო აღეწერა მანქანა ან მოეცა მანქანის ნომერი. რამდენადაც ამ შემთხვევის დროს მოწმეები არ ყოფილან. სპიე კაფაგ პეტროფაგმა საჩივრის განხილვაზე უარი განაცხადა დამამტკიცებელი საბუთის უკმარისობის გამო.	• დამამტკიცებლი საბუთის ან მოწმის უქონლობა აძნელებს წამოჭრილ საკითხებზე სათანადო და საჭირო რეაგირებას.

მრჩეველ/ომბუცმენის ოფისის წარმომადგენლებთან რომ იგი პირადად ინციდენტის დროს იქ არ ყოფილა, მაგრამ უჩვენა დაზიანებული ადგილი კედელზე და დანგრეული ქვები.	• ბთჯ/სპიე კაფაგ პეტროფაგის კომპანიამ უარი განაცხადა საჩივრის განხილვაზე იმ დამამტკიცებელი საბუთის უკმარისობის გამო, რომელიც უჩვენებდა, რომ ამ შ შემთხვევის მიზეზი პროექტის მშენებლობასთან იყოდაკავშირებული.	
• ბთჯ-ს მანქანების მოძრაობამ დააზიანა სასმელი წყლის მილები და სასმელი წყალი დაბინძურდა კანალიზაციის წყლით და ინფექციური დაავადებები გავრცელდა. • 2003 წლის ნოემბრის შეხვედრის დროს სპე კაფაგ პეტროფაგმა უარი განაცხადა დაზიანებული სასმელი წყლის მილების შეკეთებაზე. • სპიე კაფაგ პეტროფაგს გაეგზავნა ორი წერილი, სადაც მოთხოვნილი იყო კომისიის შექმნა რომლის რეკომენდაციებიც შეამსუბუქებდა გადაუყწვეტავ პრობლემათა სიმძაფრეს.	• ბთჯ/სპიე კაფაგ პეტროფაგი ამტკიცებდა, რომ არანაირი დამამტკიცებელი საბუთი არ არსებობს იმისა, რომ მშენებლობის მანქანების გამო დაზიანდა სასმელი წყლისა და კანალიზაციის მილები. • თეთრიწყაროს მაშინდელმა მერმა დაადასტურა, რომ წყლისა და კანალიზაციის მილები ძველი იყო და ხარისხიანად მოვლილი არ ყოფილა წლების განმავლობაში. • ბთჯ/სპიე კაფაგ პეტროფაგმა განაცხადა, რომ თუკი სასმელი წყლის მილები დაზიანდა, მაშინ მთელი 12 ოჯახი განიცდიდა დაზიანების შედეგებს; ამ ერთი განმცხადებლის გარდა არავის სხვას საჩივარი არ შემოუტანია. • 2003 წლის 14 ნოემბერს სპიე კაფაგ პეტროფაგი დათანხმდა სასმელი წყლის მილების შეკეთებას, მაგრამ 26 ნოემბერს გადაწყვეტილება შეცვალა იმიტომ რომ განმცხადებელი არ დაეთანხმა შეკეთების შემთხვევაში საჩივარი გადაწყვეტილად ჩათვლილიყო. • 2004 წლის მარტს ადგილობრივმა კომისიამ დაადასტურა რომ ჯავახიშვილის ქუჩაზე სასმელი წყლის მილები დაზიანებული იყო ბთჯ-ს	• განმცხადებელმა შეთანხმების მრჩეველს/ომბუცმენს განუცხადა, რომ იგი სასამართლოს მიმართავდა, თუკი მის საჩივარს მისთვის სასიკეთო შედეგი არ მოჰყვა. • განმცხადებლის ყოფილმა მეზობელმა განაცხადა, რომ საჩივარში მოხსენებული სასმელი წყლის მილების მშენებლობის დროს მხოლოდ განმცხადებელმა თქვა უარი სამუშაოებისათვის საჭირო თანხაში მისი წვლილის შეტანაზე. • დამამტკიცებლი საბუთის ან მოწმის უქონლობა აძნელებს წამოჭრილ საკითხებზე სათანადო და საჭირო რეაგირებას.

	კომპანიის დიდი სატვირთო მანქანების გამუდმებული მოძრაობის შედეგად და სასმელი წყლის დალევა შეუძლებელი იყო. თეთრიწყაროს ახალმა მერმა სპიე კაფაგ პეტროფაგის კომპანიას სთხოვა შეეკეთებინა სასმელი წყლის მილები და საკანალიზაციო ჭები როგორც კეთილმოსურნეობის ჟესტი. მოთხოვნა დამტკიცებული იქნა და 2004 წლის მარტის თვის ბოლოს შემკეთებელი სამუშაოები ჩატარდა.	
• კანალიზაციისა და სასმელი წყლის მილების დაზიანების შედეგად განმცხადებლის სარდაფი დაიტბორა. პირველ სართულზე კედლებს ბზარი გაუჩნდათ.	• ბთჯ/სპიე კაფაგ პეტროფაგის კომპანიამ უარი განაცხადა საჩივრის განხილვაზე იმ დამამტკიცებელი საბუთის უკმარისობის გამო, რომელიც უჩვენებდა, რომ ამ შ შემთხვევის მიზეზი პროექტის მშენებლობასთან იყოდაკავშირებული.	• დამამტკიცებლი საბუთის ან მოწმის უქონლობა აძნელებს წამოჭრილ საკითხებზე სათანადო და საჭირო რეაგირებას.

5. თეთრიწყარო

ეს საჩივარი აღძრული იქნა ქალაქ თეთრიწყაროს მაცხოვრებლების მიერ სადაც ისინი ამტკიცებენ რომ საამშენებლო სამუშაოები - განსაკუთრებით კი აფეთქებები - იქნა ჩატარებული წინასწარი გაფრთხილების გარეშე და ა ეტქებამ დააზიანა მათი სახლები. მათ აგრეთვე გამოთქვეს უკმაყოფილება იმის გამო, რომ ბთჯ-ს საჩივრის განხილვის პროცესი არ მუშაობს და რომ ბთჯ-ს მათი პრობლემებისათვის არ უპასუხია. შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისმა ამ საჩივარში დასმული საკითხები გამოიძია 2004 წლის ივლისში თეთრიწყაროში ვიზიტის დროს.

საჩივარში წამოჭრილი საკითხები	ბთჯ-ს პერსპექტივა	ომბუცმენის დასკვნები და რეკომენდაციები
• საამშენებლო დერეფანში აფეთქებების ჩატარება ახლო მდებარე ცხრა ძმის, მშვიდობისა და დემეტრაშილის მოსახლეობის წინასწარი გაფრთხილების გარეშე.	• ბთჯ/სპე კაფაგ პეტროფაგის თანახმად 2004 წლის იანვარში აფეთქებების შესახებ განცხადებები გამოკრული იყო თეთრიწყაროში ცნობილ ადგილებზე და ეს განცხადებები იუწყებოდნენ აფეთქების ადგილსა და დროს. • ბთჯ/სპიე კაფაგ პეტროფაგის თანახმად ბთჯ/სპიე კაფაგ პტეროფაგის მიერ აფეთქების შესახებ განცხადება კარდაკარ არ იქნა დარიგებული ან იმ მოსახლეთათვის, რომლებიც ახლოს ცხოვრობენ დაგეგმილი აფეთქების ჩატარების ზონასთან და არც წინასწარი გამოკვლევა იქნა ჩატარებული, რადგან ეს გაზრდიდა მოსახლეობის წუხილს.	• ომბუცმენის რეკომენდაცია არის რომ თვალყური ედევნოს ვიბრაციის დონეს აფეთქების ზონაში ვიბრაციის შესაძლებელ გავლენასა და ძირითად მდგომარეობასთან ერთად. • აფეთქების წინა გამოკვლევა და მოსახლეობის კარდაკარ გაფრთხილებას ადგილი უნდა ჰქონოდა საამშენებლო დერეფანთან უახლოეს ცხრა ძმის, მშვიდობისა და დემეტრაშვილის ქუჩის მაცხოვრებლებისათვის. • მოსახლეობის შიში უმიზეზოდ არ გაიზრდებოდა იმ შემთხვევაში თუკი მათ სათანადო ახსნა-განმარტება მიეცემოდათ აფეთქების შესახებ; სახლების მდგომარეობის გამოკვლევა და ვიბრავიისათვის თვალყურის დევნა (მაგალითად, ვიბრაციის მონიტორინგი და სტანდარტები) შეამცირებდა მოსახლეობის მომდევნო წუხილს და აგრეთვე საჩივართა რაოდენობას. • შეთანხმების მრჩეველს/ომბუცმენს არ აქვს საბუთი იმისა, რომ აფეთქების წინა გაფრთხილებებს ადგილი ჰქონდა

		პირველი აფეთქებისათვის 2003 წლის 26 დეკემბერს ან საჯარო უსაფრთხოების შემატყობინებელი პლაკატები იყო გამოკრული თეთრიწყაროში თვალსაჩენ ადგილებში ამ პირველ აფეთქებასთან დაკავშირებით.
• აფეთქების დროს რამოდენიმე სახლი დაზიანდა (კედლებში ბზარების ჩათვლით)	• გეოტეკმა (კონტრაქტორი ამფეთქებელი სამუშაოებისათვის) შესთავაზა მაცხოვრებლებს კედლების შეკეთებას როგორც კეთილმოსურნეობის ჟესტი (ღირებულებით 4000 ლარი ანუ 2100 ამერიკული დოლარი); ბთჯ კომპანიის თანახმად, მოსახლეობამ უარი განაცხადა კონტრაქტორისათვის მიეწოდებინათ ინფორმაცია თუ რა მასალა იყო საჭირო კედლების შესაკეთებლად და თითოეული ოჯახისათვის 1000 ამერიკული დოლარი მოითხოვეს. გეოტეკმა შეთავაზებულ შეკეთებაზე უარი განაცხადა. • ბთჯ/სპიე კაფაგ პეტროფაგმა განაცხადეს, რომ გეოტეკი თანახმაა შეთავაზებული შეკეთება 4000 ქართული ლარის ღირებულებით ჩაატაროს თუკი ეს სამუშაოები ვალდებულების აღიარებად არ ჩაითვლება და მოსახლეობა შემდგომ შეკეთებებს აღარ მოითხოვს.	• შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის რჩევაა რომ მიწის მფლობელთა უფლებების დაცვის ასოციაცია ჩაებას შეხვედრის მოწყობაში გეოტეკ/სპიე კაფა პეტროფაგისა და მაცხოვრებლებს შორის რათა მოსახლეობას დეტალურად აუხსნან აფეთქებისათვის გამოყენებული სტანდარტები , შესთავაზონ განმცხადებლებს დაესწრონ სხვა ადგილას ჩატარებულ მსგავს აფეთქებებს და გეოტეკის წინადადება კედლების შესაკეთებლად განახლდეს და შეკეთების ხარჯის დამოუკიდებელი შეფასება ჩატარდეს.

• საჩივრის განხილვის პროცესი არ ფუნქციონირებს. • ბთჯ კომპანია მაცხოვრებელთა წერილებზე პასუხს არ სცემს. • კომპანიის წარმომადგნლები დანიშნულ შეხვედრებზე არ ცხადდებიან.	• ბთჯ/სპიე კაფაგ პეტროფაგის განცხადებით უმეტეს საჩივრებს პასუხი გაეცათ 7 დღის განმავლობაში და საქმეები დაიხურა 30 დღის განმავლობაში, მაგრამ განმცხადებელები ყოველთვის არ იყვნენ კმაყოფილნი გადაწყვეტილებებით. • ბთჯ/სპი კაფაგ პეტროფაგის განაცხადის მიხედვით ზოგიერთი საჩივარი შემოტანილი იყო რამოდენიმეჯერ და მათ გამეორებით უარი ეთქვათ ან ერთი და იგივე საბუთის საფუძველზე ან დამამტკიცებელი საბუთის უკმარისობის გამო. • ბთჯ/სპიე კაფაგ პეტროფაგის განცხადებით, კომპენსაციაზე უარის თქმის წერილები დაურიგდათ განმცხადებელებს მაგრამ მათ უარი განაცხადეს წერილების მიღებაზე.	• საკმაოდ საფუძვლიანი იქნება ეფექტიური გასაჩივრების პროცესის შექმნა იმ სახის საჩივრებისათვის, რომელსაც თეორიულად სასამართლოში აღძვრის პოტენცია აქვს, მაგრამ გასაჩივრების პროცესის გამოყენებით უფრო ეფექტურად შეიძლება იქნას გადაწყვეტილი. ასეთი სისტემა გაზრდის სამართლიან გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას იმ განმცხადებლებისათვის, რომელთაც სასამართლო სისტემის იმედი არ აქვთ.

6. ციხისჯვარი

ეს საჩივარი აღძრული იქნა ციხისჯვარში მცხოვრები პირის მიერ. განმცხადებელი ამბობს, რომ ბთჯ კომაპნიამ მას სათანადო კომპენსაცია არ გადაუხადა მის კერძო მფლობელობაში მყოფი გზის მისასვლელის გამოყენებისათვის და მარშრუტის გახსნის გამო მას შემოსავალი დაეკარგა. განმცხადებელი ამბობს, რომ ბთჯ-ს კომპანიის მშენებლობის გვერდით მყოფი მიწის ნაკვეთი მისი საკუთრებაა. შეთანხმების მრჩეველს/ომბუცმენს წარუდგინეს სერთიფიკატი, რომელიც ამბობს რომ განმცხადებელმა მიწის ეს ნაკვეთი შეიძინა 2000 წლის მაისში. მიწის ნაკვეთის მფლობელობა არის ნაწილი კოლექტიური ფერმის პრივატიზაციისა, რომელიც როგორც ჩანს სადავოა და მიწის შეძენის სერთიფიკატების კანონიერება კითხვის ქვეშ იდგა. განმცხადებელმა აგრეთვე თქვა, რომ ბთჯ-ს კომპანიამ მისი პრობლემები უყურადღებოდ დატოვა.

საჩივარში წამოჭრილი საკითხები	ბთჯ-ს პერპსექტივა	ომბუცმენის დასკვნები და რეკომენდაციები
• ბთჯ-ს მანქანები იყენებენ ალტერნატიულ მარშრუტს 2002 წლის ივნისიდან და ეს მარშრუტი გადის განმცხადებლის კერძო ტერიტორიაზე, რომელსაც იგი იყენებდა როგორც სათიბავი ნაკვეთი. • განმცხადებელმა შემოსავალი დაკარგა, რადგანაც თივის წარმოება შემცირდა მანქანების გამუდმებული მოძრაობის გამო რამაც სათიბი ნაკვეთის დაზიანება გამოიწვია.	• მშენებლობის მანქანები იყენებენ გზა, რომელიც განმცხადებლის ეგრეთ წოდებული მიწის ნაკვეთის გვერდითაა და არ არსებობს დამამტკიცებებლი საბუთი იმისა, რომ რომ ეს მიწა განმცხადებელს ეკუთვნის. აგრეთვე ეს არის სოფლის საერთო სათიბი და შესაძლებელია, რომ განმცხადებელი იყენებს ამ სათიბს. ოფიციალური მიწის საკუთრების რეგისტრიდან ამონაწერი აჩვენებს, რომ 1) განმცხადებელი არ ფლობს მიწის იმ ნაკვეთს, რომელიც მან თქვა, რომ მისი საკუთრება იყო და 2) მას ეკუთვნოდა მიწა საამშენებლო დერეფანში და რომლისთვისაც მან კომპენსაცია მიიღო.	• ბთჯ-მ უნდა შეიმუშავოს გეგმა, რომლის მიხედვითაც ყველა მიწის მფლობელობის დოკუმენტი შედარდება გაზრდილი მასშტაბით გადაღებულ საჰაერო ფოტოსურათებს, რომელიც უჩვენებს მილსადენის მარშრუტს, მისასვლელ გზას და შეაგროვოს იმდენი ტოპოგრაფიული ინფორმაცია, რამდენიც შესაძლებელია. ომბუცმენის რჩევაა, რომ მიწის მფლობელთა უფლებების დაცვის ასოციაცია ჩაებას იმ პროცესში.

	• ბთჯ კომპანიის თანახმად, განმცხადებელი ფლობდა მიწის ნაკვეთს, რომელიც მილსადენის მშენებლობის ტერიტორიას კვეთავდა და რომლისთვისაც მან კომპენსაცია უკვე მიიღო. • ბთჯ-მ უთხრა შეთანხმების მრჩეველს, რომ განმცხადებლის მიერ გამოცხადებულ საკუთარ მიწის ნაკვეთს იგივე ფორმა აქვს, როგორიც მის მიერ წარმოდგენილ მიწის მფლობელობის დოკუმენტებშია აღწერილი, მაგრამ არ არსებობს ნაჩვენებ მისამართზე.რისი ბრალია ეს გაურკვევლობა - რუქისა თუ რომელინე სხვა საკითხისა, ომბუცმენისათვის ნათელი არ არის.	
• განმცხადებელმა მიმართა ბთჯ-სა და სპიე კაფაგ პეტროფაგის კომპანიას და ამას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია.	• 2003 წლის 23 ივნისს ბთჯ-მ უპასუხა განმცხადებლის მოთხოვნას კომპენსაციის შესახებ და მოითხოვა საჩივარში დასმული მიწის ნაკვეთის მფლობელობის დამადასტურებელი საბუთი. სარწმუნო და ზუსტი საბუთის აღებამ ბევრი დრო წაიღო. სპიე კაფაგ პეტროფაგის წარმომადგენელი შეხვდა განმცხადებელი 2003 წლის ივნისში და შესთავაზა დაკარგული თივის მოსავლის კომპენსაცია, მაგრამ განმცადებელმა მოითხოვა მთლიანი კომპენსაცია და კომპანიის მიერ მიწის ნაკვეთის შესყიდვა.	

დასკვნები და შემაჯამებელი რეკომენდაცია

შემდგომ გვერდზე მოცემული ცხრილი აჯამებს შვიდივე საჩივრის ისტორიას და შინაარს. ეს საჩივრები მიღებული იქნა შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის მიერ 2004 წლის 21 მაისს. რუსთავის საჩივრის გამოკლებით, რომელსაც უარი ეთქვა იმ მიზეზის გამო, რომ ამ საჩივარში წამოჭრილი საკითხები სასამართლოში იხილება, საჩივრებში წამოჭრილი საკითხები ძირითადად ეხება მშენებლობასთან დაკავშირებული აქტიურობის გავლენას მოსახლეობაზე და ექვსივე საჩივარი ეხება საჩივრის განხილვის არსებული პროცედურის ეფექტიურობის ნაკლებობას. ამასთან დამატებით კი ორ საჩივარში განსაკუთრებული ხაზი ესმება განმცხადებელთა წუხილს რწმენის, დროისა და ფინანსების საკითხების შესახებ. თუ რამდენი დრო და თანხაა საჭირო საჩივრის აღსაძრავად საქართველოს სასამართლოებში და აღნიშნავენ რომ ეს არის მხოლოდ ერთი დღეს დღეობით არსებული გზა ბთჯ-ს გადაწყვეტილების შეკამათებისა.

შეთანხმების მრჩეველი/ომბუცმენი პატივით ეპყრობა ბთჯ-ს პროექტს და ესმის თუ რამხელა შრომა იქნა ჩადებული იმაში, რომ თვალყური ედევნოს არამარტო მიწასთან, არამედ მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებსაც. ჩვენს ოფისში აღძრული სპეციფიური საჩივრების განხილვისას ჩვენ გჯერა რომ არის სამი ფაქტორი, რომელიც ამ საჩივართა აღძვრის შესაძლებლობას შეამცირებდა:

- საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების ჯგუფის გაზრდილი პასუხისმგებლობა და რესურსები, რომლებიც მათ მისცემს საშუალებას უფრო ხშირი და პირდაპირი კონტაქტი ჰქონდეთ მოსახლეობასთან მშენებლობის დაწყებამდე;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების ჯგუფის შესაძლებლობის გაუმჯობესება საჩივრებზე უფრო სწრაფად საპასუხოდ და მათი რეაგირება უფრო პირადული სახის იყოს;
- გასაჩივრების დამოუკიდებელი მექანიზმი, სადაც განმცხადებელებს შეეძლებათ მათი საჩივრის მიტანა თუკი მათ სჯერათ, რომ საჩივრის განხილვის სისტემამ დამაკმაყოფილებლად არ უპასუხა მათ მიერ წამოჭრილ საკითხებს.

შეთანხმების მრჩეველს/ომბუცმენს სჯერა, რომ ბთჯ-სა და განმცხადებლებთა საკეთილდღეოდ არის ის, რომ საჩივრები ადგილზე გადაწყდეს რაც დაეხმარება საქართველოს ცივილიზირებულ საზოგადოების გაძლიერებაში და გააუმჯობესებს პირდაპირ ურთიერთობას ბთჯ-სა და მის მოკავშირეეებს შორის.

თითოეულ სპეციფიურ პრობლემის რეკომენდაციასთან დამატებით, **შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის რჩევაა, რომ ბთჯ-ს მჭიდრო სამუშაო ურთიერთობა ჰქონდეს არსებულ მონაწილეებთან რათა ხელი შუწყოს ეფექტიურ და ნდობით აღჭურვილ გასაჩივრების ორგანოს განვითარებას მსგავსი საჩივრების ადგილობრივად გადაწყვეტისათვის.** თუკი აუცილებლობა მოიტანს, ეს ორგანო შეიძლება შედგებოდეს ნდობით აღჭურვილი საერთაშორისო მონაწილეებისაგან. შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისი მზადაა დახმარება გაუწიოს მსგავსი პროცესის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში თუკი მას ასეთი სახის დახმარება სთხოვეს და აგრეთვე წვლილს შეიტანს დავის გადამწყვეტ ეფექტიური ორგანოს დაგეგმვაში და განხორციელებაში.

2004 წლის 21 მაისს შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის მიერ მიღებული შვიდი საჩივრის მოკლე შინაარსი

საჩივარი (შეთანხმების მრჩევლის/ ომბუცმენის მიერ მიღების ან უარის თქმის თარიღი)	**საჩივრის მოკლე ისტორია**	**საჩივრის შინაარსი**
რუსთავი (06/08/2004)	მიწის შესყიდვის მოლაპარაკების უშედეგოდ დამთავრების შედეგად 2004 წლის თებერვალში ბთჯ-მ სასამართლოში აღძრა საქმე 32 მიწისმფლობელის წინააღმდეგ რათა საამშენებლო დერეფნის მშენებლობის წარმოების უფლება მოეპოვებინა კერძო ტერიტორიაზე. განმცხადებელებმა 2004 წლის 29 აპრილს გაუგზავნეს წერილები ბთჯ-ს, რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპულ ბანკის წარმომადგენელს, მსოფლიო ბანკის წარმომადგენელს და საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაციას.	*საჩივარს უარი ეთქვა.* *შეთანხმების მრჩეველი/ომბუცმენის ოფისი არ ჩაერევა სასამართლოში აღძრულ საკითხთა გადაწყვეტაში როდესაც საქმის განხილვა სასამართლოში არ დამთავრებულა.*
ბაშკოვი (06/08/2004)	2004 წლის 14 აპრილს ბთჯ-ს კომპანიას გაეგზავნა პირველი მოთხოვნა კომპენსაციის შესახებ. ბთჯ-ს წერილი, დათარიღებული 2004 წლის 1 ივნისით.	• **მშენებლობის გავლენა:** კერძო პირის ძირითადი შემოსავლის წყაროს საფრთხე შეექმნა და თაფლის წარმოება შემცირდა. • საჩივრის განხილვის მექანიზმი ნახსენებია როგორც მექანიზმი, რომელიც არ მუშაობს.
დგვარი (06/08/2004)	ოფიციალურ საჩივარს ადგილი არ ჰქონია. კერძო პირმა კონფიდენციალურად სთხოვა დახმარება შეთანხმების მრჩეველს/ომბუცმენს. საქართველოს მთავრობამ გასცა უფლება ჩატარებულიყო გამოკვლევები, რომლებიც მოსახლეობისათვის აღნიშნავდნენ მეწყერთან დაკავშირებულ რისკს. 2004 წლის თებერვალში ბთჯ-მ გასცა უფლება მეწყერის რისკის დამატებით გამოკვლევისათვის.	• **მშენებლობის გავლენა:** მეწყერის გაზრდილი რისკი დააზიანებს შეთანხმებას? • გაზიარება და კონსულტაცია: სოფლის წარმომადგენლები ამბობენ, რომ გარემოს დაცვისა და სოციალური შეფასების დაგეგმვის პროცესის დროს მათ

		არანაირი ინფორმაცია არ ჰქონიათ. • საჩივრის განხილვის მექანიზმი ნახსენებია როგორც მექანიზმი, რომელიც არ მუშაობს.
საღრაშენი 06/08/2004)	2003 წლის 3 სექტემბერს ბთჯ-ს გაეგზავნა პირველი წერილი. 2004 წლის მარტის შუა რიცხვებში სტანდარტული პასუხის წერილი გაიგზავნა მიწის მფლობელთა უფლებების დაცვის ასოციაციის მიერ. ვიბრაციის მონიტორინგის გამოცდა ჩატარდა 2004 წლის 15 ივლისს. საჩივარზე უარის თქმის წერილი დათარიღებულია 2004 წლის 28 ივლისით.	• **მშენებლობის გავლენა:** მანქანათა მოძრაობა შენობებს აზიანებს? გაზრდილი მტვრის რაოდენობა, მარშრუტი და სიჩქარის ლიმიტი კითხვის ქვეშ არის დასმული. • საჩივრის განხილვის მექანიზმი ნახსენებია როგორც მექანიზმი, რომელიც არ მუშაობს.
ციხისჯვარი (06/08.2004)	განმცხადებლის თანახმად საჩივარი გაიგზავნა 2003 წლის 12 მარტს. ბთჯ-ს თანახმად პირველი საჩივარი მათ მიერ მიღებული იქნა 2003 წლის 27 მაისს. 2003 წლის 23 ივნისს ბთჯ-მ მოითხოვა მიწის მესაკუთრეობის დამამტკიცებელი საბუთები. ბთჯ-ს საბოლოო პასუხი გაგზავნილი იქნა 2003 წლის 21 ივლისს	• **მშენებლობის გავლენა:** თივის წარმოების რაოდენობის შ მცირება მისასვლელი გზის მშენებლობის გამო. • საჩივრის განხილვის მექანიზმი ნახსენებია როგორც მექანიზმი, რომელიც არ მუშაობს.
თეთრიწყარო (გელაშვილი) (06/08/2004)	ბრითიშ პეტროლეუმისადმი გაგზავნილი საჩივარი დათარიღებულია 2003 წლის 20 ოქტომბრით. სპიე კაფაგ პეტროფაგისადმი გაგზავნილი წერილი დათარიღებულია 2003 წლის 20 ოქტომბრით	• **მშენებლობის გავლენა:** კერძო საკუთრების დაზიანება მანქანების გამუდმებული მოძრაობის შედეგად, გარემოს მტვრით დაბინძურება და

	მშენებლობის მენეჯერს, საზოგადოებიასთან ურთიერთობის ოფიცრებსა და განმცხადებელთან შეხვედრა ჩატარდა 1 და 11 ნოემბერს.	ადგილის წყლით დატბორვა. • საჩივრის განხილვის მექანიზმი ნახსენებია როგორც მექანიზმი, რომელიც არ მუშაობს.
თეთრიწყარო (06/08/2004)	სპიე კაფაგ პეტროფაგისადმი გაგზავნილი პირველი საჩივარი დათარიღებულია 2004 წლის 21 იანვრით. 2 თებერვალს გეოტეკმა მოამზადა მოხსენება 2004 წლის 10 იანვარს ჩატარებული აფეთქებების შესახებ. განმცხადებლის წერილი სპიე კაფაგ პეტროფაგისადმი დათარიღებულია 2004 წლის 2 მარტით. ბთჯ-მ საჩივრის რეგისტრაცია გააკეთა 6 მარტს. სპე კაფაგ პეტროფაგის წერილი (აფეთქების მოხსენების დანართით) დათარიღებულია 2004 წლის 20 მაისით. ბთჯ-ს რეესტრში საჩივარი დაიხურა 2004 წლის 2 ივნისს	• **მშენებლობის გავლენა:** სახლები დაზიანდა აფეთქების შედეგად? მოსახლეობისათვის აფეთქების წინ არანაირი ინფორმაცია არ ჰქონია აფეთქების ჩატერების შესახებ. • საჩივრის განხილვის მექანიზმი ნახსენებია როგორც მექანიზმი, რომელიც არ მუშაობს.